რადიო თავისუფლების შეკითხვები, ვახტანგ თურნავას

1. ჩვენ მოვამზადეთ ვრცელი მასალა ეროვნული ბანკის საბჭოს აწ უკვე ყოფილ წევრზე, ნანა ყეინიშვილზე, სადაც აღწერილი იყო, რომ ყეინიშვილის ოჯახის კომპანია ემსახურებოდა საქართველოში „იანდექსის“ სერვისის გადახდებს. ჩვენთვის მოწოდებული ინფორმაციით, სულ მცირე 2026 წლის სექტემბრიდან ყეინიშვილის ოჯახის კომპანია ჩაანაცვლა შპს „ქიფზ საგადახდო სისტემამ“ (Keepz).
   რა გაკავშირებდათ წარსულში და რა გაკავშირებთ ამჟამად ამ კომპანიასთან?
2. „რადიო თავისუფლების“ ინფორმაციით, „ქიფზი“ უზრუნველყოფს საქართველოში „იანდექს გოუს“ (Ridetech Georgia) საგადახდო ტრანზაქციების მომსახურებას - იმ კომპანიის, რომელიც საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა მომხმარებელთა მონაცემების რუსეთში გადაცემის გამო დააჯარიმა. როგორც „ქიფზის“ ერთ-ერთი შემქმნელი და, ამავდროულად, საქართველოს პარლამენტის მოქმედი წევრი, რამდენად მიზანშეწონილად მიიჩნევთ რუსული კომპანიის ფინანსური ნაკადების მომსახურებას და იყავით თუ არა ინფორმირებული „იანდექსთან“ გაფორმებული თანამშრომლობის შესახებ?
3. „ქიფზი“ ტაქსების გადახდების მომსახურებაში ჩართული იყო ჯერ კიდევ 2023 წლის მაისიდან, როცა ქალაქის მერმა მთავრობის სხდომაზე თბილისში A კლასის ტაქსებში QR გადახდების დანერგვის შესახებ გამოაცხადა. კახა კალაძემ მაშინ დაასახელა კომპანია BKN301 Georgia (ყოფილი „კალა ფეი“), რომელიც, ისევე როგორც „ქიფზი“, თქვენთან იყო დაკავშირებული. რა გაკავშირებდათ თბილისის მერის მიერ გაცხადებულ QR გადახდების პროექტთან, რა ურთიერთობა გაკავშირებთ კახა კალაძესთან, არის თუ არა ის თქვენი მეგობარი და ჰქონდა თუ არა კავშირი „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიაში თქვენს მოხვედრასთან?
4. სტატიაში „რადიო თავისუფლება“ აღწერს თქვენს კავშირს რამდენიმე კომპანიასთან: „ქიფზ საგადახდო სისტემა“, „ქიფზ ინტერნეიშენალი“ და „ჰაივ ფეი“ (ყოფილი BKN301 Georgia / „კალა ფეი“). თქვენთან დაკავშირებული კომპანიების ნაწილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეგულირებული სუბიექტია. კერძოდ:

1. **შპს „ქიფზ საგადახდო სისტემა“ / Keepz Payment System** (ს/ნ: 405618915):
- საგადახდო მომსახურების პროვაიდერი (PSP) · №0099-7704 · 21.03.2024;
- ღია ბანკინგი (AISP / PISP) · 12.07.2024 (XLSX რეესტრში: 07.12.2024);
- საგადახდო სისტემის ოპერატორი · №0003-9204 · 22.12.2025.

2. **შპს „ჰაივ ფეი“ / Hive Pay** (ს/ნ: 405545227 - ყოფილი BKN301 Georgia / „კალა ფეი“):
- საგადახდო მომსახურების პროვაიდერი (PSP) · №0096-2904 · 04.01.2023;
- ღია ბანკინგი (AISP / PISP) · 06.08.2026 (XLSX რეესტრში: 08.06.2026).

ორივე კომპანიამ ეროვნული ბანკისგან აღნიშნული სტატუსები მიიღო იმ პერიოდში, როდესაც ნათია თურნავა უკვე მუშაობდა ეროვნულ ბანკში სხვადასხვა თანამდებობაზე (2022 წლის ივნისიდან - საბჭოს წევრად, 2023 წლის ივნისიდან - პირველ ვიცე-პრეზიდენტად და პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლად, ხოლო მოგვიანებით პრეზიდენტად).
რა ნათესაური კავშირი გაქვთ ეროვნული ბანკის პრეზიდენტ ნათია თურნავასთან და სხვადასხვა დროს თქვენთან დაკავშირებულ კომპანიებს დაეხმარა თუ არა თქვენსა და ნათია თურნავას შორის არსებული ნათესაური კავშირი?

ვახტანგ თურნავას პასუხები

1. „ქიფზის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი ვიყავი. მას შემდეგ, რაც პოლიტიკაში მოვედი, ბიზნესიდან გავედი. 2024 წლიდან არც ამ კომპანიაში და არც თქვენს მიერ ნახსენებ სხვა კომპანიებში წილი არ მაქვს და მათთან არანაირი ურთიერთობა არ მაკავშირებს. შესაბამისად, მათ კლიენტებსა და კომერციულ ურთიერთობებზე ინფორმაცია არ გამაჩნია.

2. როგორც აღვნიშნე, კომპანიასთან კავშირი არ მაქვს და შესაბამისად არც ის ვიცი ვისთან თანამშრომლობენ. ზოგადად კი, საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიას კანონმდებლობის დაცვა ერთნაირად ევალება, ხოლო რეგულირებად საქმიანობაზე ზედამხედველობას შესაბამისი ინსტიტუტები ახორციელებენ.

3. იმ პერიოდში, როცა ბიზნესში ვიყავი, ტაქსებში QR გადახდა კომპანიის ინიციატივა იყო, რომელიც მგზავრებისა და მძღოლებისთვის გადახდას ამარტივებდა. პროექტის ამჟამინდელი მდგომარეობა ჩემთვის უცნობია.

4. ნათია თურნავასთან შორეული ნათესაური კავშირი მაქვს, თუმცა არც მაშინ როცა ბიზნესში ვიყავი და არც შემდეგ როცა პოლიტიკაში მოვედი, ამ კავშირს ჩემს პროფესიულ ცხოვრებაზე გავლენა არ ჰქონია.

პატივისცემით,

ვაკო თურნავა